

# გადამოილება ისლამი

ისტორიული და წმინდა წერილისეული ანალიზი

# APOSTASY in ISLAM

لَا إِكْرَاهَ فِي الدِّينِ

*A Historical &  
Scriptural Analysis*

TAHA JABIR ALALWANI

იასი-ს წიგნების სერია

# ბანდგომისა და ისლამში

ისტორიული და წმინდა წერილისეული ანალიზი

ტაჰა ჯაბირ ალ-ალვანი



International Institute  
of Islamic Thought



გამომცემლობა „ანივერსალი“  
თბილისი 2023

ბანდგომილისა, ისლამში -

ისტორიული და წმინდა მერილისეული ანალიზი (Georgian)

ტაჰა ჯაბირ ალ-ალვანი

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),

ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი

1444ჰ/2023

Paperback ISBN: 978-9941-33-439-9

**Apostasy in Islam: A Historical and Scriptural Analysis (Georgian)**

Taha Jabir Alalwani

IIIT Book-In-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)

1434AH/2012CE

Paperback ISBN: 978-1-56564-585-1

IIIT

P.O. Box 669,

Herndon, VA, 20172, USA

[www.iiit.org](http://www.iiit.org)

ინგლისურიდან თარგმნა: შპს „ცნობარი 151“

სარედაქციო კოლეგია:

თეოლოგიური რედაქტორობი – ტარიელ ნაკაიძე, თამაზ მგელაძე  
რედაქტორი – ია ძირკვაძე

ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი, ც. დადიანის №7, ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი –

ქარგასლა, A-508

[ikiacademy.org](http://ikiacademy.org)

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-  
სტიტუტან თანამშრომლობით

ამ წიგნზე საავტორო უფლებები დაცულია. სავალდებულო გამონაკლისე-  
ბისა და, შესაბამისი, კოლეგიური ლიცენზირების შესახებ არსებული შე-  
თანხმების დებულებებიდან გამომდინარე, წიგნის არცერთი ნაწილის გამ-  
რავლება არ შეიძლება გამომცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.

წინამდებარე ნშრომში გამოხატული შეხედულებები და აზრები ეკუთვნის ავ-  
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „ენივარსალი“, 2023

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსანის №4, ტელ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

## იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული საკვანძო პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის მიზნით, წარმოდგენილია რა შემოკლებული ფორმით და ადვილად წასაკითხი სახით დროს დაზოგვის მიზნით, ეს თანდართული სინოპსისები გვთავაზობს უფრო სრული პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას იმ იმედით, რომ ის მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

როგორია კანონით განსაზღვრული სასჯელი რჯულგანდგომილებისთვის (**არ-რიდდა**), თუ ის არსებობს, და როგორ უკავშირდება იგი იმ რელიგიური ტოლერანტობის მოთხოვნას, რომელიც მოცემულია ყურანის აიაში „არ არის იძულება რწმენაში, გზა ჭეშმარიტებისა ნათლადაა გარჩეული ცდომილისაგან“ (ყურანი-2:256)<sup>1</sup>

წინამდებარე ნაშრომი არის ტაპა ჯაბირ ალ-ალვანის მნიშვნელოვანი გამოკვლევის, „განდგომილება ისლამში“, ისტორიული და წმინდა წერილისეული ანალიზის

---

<sup>1</sup>. ყურანის აიები თარგმნილია ტარიელ ნაკაბის მიერ.

შემოკლებული ვერსია, რომელიც, პირველად, 2011 წელს გამოქვეყნდა. დადგენილი ფაქტია, რომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, მუჰამად შუამავალს (ს.ა.ს.)<sup>2</sup> რჯულგანდგომილი სიკვდილით არ დაუსჯია. თუმცა აღნიშნული საკითხი კვლავაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივად, რომელიც ზეგავლენას ახდენს მუსლიმურ სამყაროზე საუკუნეთა მანძილზე. ის დღეს წარმოადგენს ასევე წყაროს მედიის მიერ ზიანის მომტანი გაშუქებისთვის, რამდენადაც ისლამურ იურის-პრუდენციას კვლავაც ბრალს დებენ ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების უხეშ უგულვებელყოფაში.

წინამდებარე წაშრომის თემა უაღრესად სენსიტიური და მნიშვნელოვანია. ავტორი სწორად ახდენს კონცენტრირებას მყარ მტკიცებულებებზე, რათა დეტალურად განიხილოს დეპატების ისტორიული საფუძვლები, ისე როგორც მასთან დაკავშირებული მრავალი მორალური და კონტექსტუალური საკითხი. სიკვდილით დასჯის მომხრების მიერ წამოყენებული არგუმენტების განხილვისას, იგი ამტკიცებს, რომ ყურანიც და სუნაც წინ წამოწევს რწმენის თავისუფლებას, რწმენის უარყოფის ჩათვლით და მხარს არ უჭერს სიკვდილით დასჯას რჯულგანდგომილების ცოდვისთვის. ყურადღება მიაქციეთ, რომ აქცენტი კეთდება სიტყვა „ცოდვაზე“, რად-

---

<sup>2</sup> „سَلَّمَ اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ“ (”صلی الله علیہ و سلم“) ქართულად: „ალლაჰპის ლოცვა და მშვიდობა მას“ – ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება მშინ, როდესაც წმინდა მუჰამად შუამავალის სახელი „მუჰამადი“ არის ნახსენები.

გან არსებობს კვალიფიკაცია: სანამ განდგომილებას არ ახლავს რაღაც ისეთი, რაც კრიმინალურ ქმედებად არის აღიარებული, განსაკუთრებით ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში, ავტორის თქმით, ასეთი ქმედება - „ცოდვა“, რჩება ღმერთსა და ინდივიდს შორის მოსაგვარებელ საკითხად. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ყურანი, მნიშვნელოვანნილად ეხება ცალკეულ ადამიანებს, რომლებიც არაერთხელ უბრუნდებოდნენ ურწმუნოებას რწმენის მიღების შემდეგ, მაგრამ არსადაა ნახენები, რომ საჭიროა მათი მოკვლა ან დასჯა. ისლამი გვასწავლის, რომ ადამიანებს ენიჭებათ რელიგიის არჩევის თავისუფლება, რომლითაც მათ სურთ ღვთის თაყვანისცემა. ადამიანის მიერ არჩევანზე პასუხისმგებლობის საფუძველი განისჯება საიქიოში და არა ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

წინამდებარე ნაშრომი დაწერილია დიდი სირთულე-ებისა და მოწყვლადობის დროში, როდესაც ყურანისა და სუნას, „მაკაბსიდ აშ-შარი‘აის“ (ისლამის კანონების მიზნების) წმინდა, უმაღლესი მიზნებისა და ღირებულებების ჭეშმარიტი გაგება-გააზრება უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენს. ავტორი იყენებს მყარ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც დეტალურად განიხილავს ყურანს და ავთენტურ (საჭირო) ჰადისებს, ითვალისწინებს რა ისლამური მწიგნობრული მეცნიერებებისა და ცოდნის სხვა დარგების შესწავლის ტრადიციულ მიდგომებს. ის ასევე, აანალიზებს სქოლასტიკურ ინტერპრეტაციას.

ადამიანის სიცოცხლის სათანადო მიზეზის გარეშე ხელყოფა, ყურანის თანახმად, მთელი კაცობრიობის მკვლელობის შესატყვისია. ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ თანაგრძნობისა და სამართლიანობის, ისევე, როგორც რწმენის თავისუფლების ინტერესების გათვალისწინების თვალსაზრისით, ზემოთ აღნიშნული საკითხი, ერთხელ და სამუდამოდ, ყველასათვის გასაგებად იყოს განხილული.

---

ორიგინალის შემოკლებული გამოცემა:

განდგომილება ისლამში: ისტორიული და წმინდა წერილისეული ანალიზი

ტაჰა ჯაბირ ალ-ალვანი

ISBN hbk: 978-1-56564-364-2

ISBN pbk: 978-1-56564-363-5

2011

## შესავალი

კვლევა მიზნად ისახავს რომ წარმოაჩინოს კონსენსუსის არარსებობა ყურანში ჩამოყალიბებული და სუნაში დაზუსტებული განდგომილებისთვის სამართლებრივად განსაზღვრული სასჯელის არსებობის შესახებ იმ მნიშვნელობით, რომლითაც ეს ტერმინი გამოიყენება. აღნიშნულის შესახებ მტკიცებულების ცნება მოიცავს მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) სიტყვებსა და ქმედებებს, რომელიც ჩვენთვის გადმოცემულია შესაბამისი ჰადისებითა და ტრადიციებით, და მიეწერება მის კომპანიონებს. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, არის თუ არ არის განსაზღვრული სამართლებრივად დადგენილი სასჯელი რწმენის შეცვლისთვის იმ შემთხვევაში, თუ მას სხვა დანაშაულებრივი ქმედება არ ახლავს. არსებითად, ყურანისა და სუნას პრაქტიკა ადასტურებს იმ თავისუფლებებს, რაც ადამიანებს მინიჭებული აქვთ სურვილების, განზრახვების, აზრების გამოხატვისა და ქმედებების თვალსაზრისით.

ამ მიზნით, წაშრომი აანალიზებს აზროვნების სხვადასხვა სამართლებრივი სკოლის (მაზჰაბის) შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც, მუსლიმი სამართალმცოდნეების უმრავლესობა ამტკიცებს, რომ რჯულგანდგომილი (მუსლიმი თუ ისლამს უარყოფს) სიკვდილით უნდა დაისაჯოს ზეპირად გადმოცემულ სუნასა და კონსენსუსის საფუძველზე. ამ კვლევის მეთოდოლოგიური მიდგო-

მა არის ფილოსოფიური, ანალიტიკური და ინდუქციური/ისტორიული, მოიცავს ტრადიციულ მიდგომებს ისლამური მწიგნობრული მეცნიერებების შესანავლისა და ცოდნის სხვა შესაბამისი სფეროების შესახებ. ყურანი ყველა ძირითადი პრინციპებისა და საფუძვლების გატარებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით არსებული შესაძლებლობების წარმომჩენი ფუძემდებლური წყაროა, ხოლო სუნა განიხილება წყაროდ, რომელიც ნათელს ფენს ყურანის მნიშვნელობას.

ყურანში არსებული ლინგვისტური ტერმინების გარკვევის მიზნით შემდეგ კრიტერიუმებზე ხდება დაყრდნობა: ამ ტერმინების საკუთრივ ყურანისეული გამოყენება; მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) განმარტებითი განცხადებები სუნაში და არაბების მიერ ასეთი ტერმინების ჩვეულებრივი გამოყენება მათ სხვადასხვა დიალექტში, ლიტერატურულ სტილსა და რიტორიკაში. ამ პრიორიტეტის მიმდევრობის თანახმად, ტერმინების არაბული ლინგვისტური გამოყენება არ უშვებს ყურანის მნიშვნელობის განსაზღვრას. საბოლოო ჯამში, ისლამური სამართლის მიერ განსაზღვრული ლირებულებები და განზრახვები საყოველთაოა და გზას უნათებს მათ, ვინც ცდილობს ჭეშმარიტებასა და ცალკეული ტექსტების მნიშვნელობის გარკვევას განდგომილების საკითხებთან დაკავშირებით.

ისეთ სადავო საკითხთან მიმართებით, როგორიცაა სასჯელი განდგომილებისთვის, მუსლიმი სამართალ-მცოდნეები ამომწურავი განმარტებების პრაქტიკას, ანუ

„იჯთიჲადს“ მიმართავენ. ფუძემდებლური საკითხი, რომელსაც ეს გამოკვლევა ეხება, არის ინდივიდუალური განდგომილება. ეს გულისხმობს ინდივიდუალური დოქტრინული რწმენების შეცვლას, რომლის შედეგიცაა აზროვნების, კონცეფციებისა და ქცევების სახეცვლილება. ინდივიდი დოქტრინალური შეხედულებების შეცვლის აქტს არავითარ შემთხვევაში არ უკავშირებდა საზოგადოების, მისი სტატუტების ან მისი ლეგიტიმური – პოლიტიკური თუ რელიგიური – ხელმძღვანელობის წინააღმდეგ აჯანყებას. ნაცვლად იმისა, რომ გამხდარიყო მის მიერ მიღებული ახალი პოზიციის საჯარო მქადაგებელი, ის, განდგომილების თვალსაზრისით, საკუთარი თავით შემოიფარგლებოდა.

წინამდებარე ნაშრომში, ასევე, განხილულია შემდეგი საკითხები: დააწესა თუ არა ღმერთმა სიკვდილი, როგორც სამართლებრივი სასჯელი განდგომილისთვის თემის მხრიდან ჯერ მონანიების ხელშეწყობით ან მის გარეშე? თუ ასეა, აქედან გამომდინარე, მუსლიმთა თემი, წარმოდგენილი მისი მმართველებით, ვალდებულია თუ არა დასაჯოს სიკვდილით ადამიანი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მან შეიცვალა სარჩმუნოება, მაგრამ არ ჩაუდენია სხვა დანაშაულებრივი ქმედება? და იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდის მიერ რწმენის შეცვლას თან არ ახლავს არცერთი სხვა დანაშაული, რომლებიც ჩვენ ვახსენეთ? თუ მუსლიმურ თემის მავან წევრს უნდა მოეკლა ეს ინდივიდი, უნდა გათავისუფლებულიყო ის სასჯელისგან თუ პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენა?

მსგავსად, წარმოადგენს მუსლიმი თემის ვალდებულებას აიძულოს ეს პიროვნება და მისნაირები დაუბრუნდნენ ისლამს? ან რამდენად უარყოფს ყურანი ამგვარი იძულების ლეგიტიმურობას? დამატებით, არსებობს თუ არა, ისლამის წარმოშობის ხანებიდან, ერთსულოვანი შეთანხმება იმის შესახებ, რომ განდგომილი უნდა დაისაჯოს სიკვდილით? თუ ეს საკითხი უთანხმოების საგანი იყო და მისი საქმარისად წარმოჩენა არ მომზდარა? რჯულგანდგომილება უნდა განიხილებოდეს უფრო მეტად ისლამიდან განდგომად, ვიდრე მის წინააღმდეგ აგრძესის აქტად? რად მიიჩნევს განდგომილებას ის უმრავლესობა, რომელიც მხარს უჭერს განდგომილთათვის სიკვდილით დასჯას – პოლიტიკურ დანაშაულად თუ სისხლის სამართლის დანაშაულად? ამასთანავე, თუ დავუშვებთ, რომ განდგომილებისთვის სიკვდილით დასჯა არის სამართლებრივად დადგენილი სასჯელი, როგორც ეს მკაფიოდაა განცხადებული ავტორიტეტულ ისლამურ ტექსტებში და კანონით განსაზღვრული სასჯელი ემსახურება პირის ცოდვებისგან განწმენდას, შეიძლება თუ არა განდგომილებისთვის სიკვდილით დასჯა ჩაითვალოს განწმენდის ან ცოდვების გამოსყიდვის ფორმად?

ამ კვლევის მიზანია წარმოადგინოს მეთოდოლოგია როგორც მოდელი, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება ისლამური ტრადიციის მიხედვით, ყურანის უფლებამოსილების ფარგლებში მოქცევის შესაბამისად. შესაბისად, მოიყვანოს ის სრულ თანხმობაში ყურანის მოძღვრებებთან.

## თავი პირგელი

### არის თუ არა განდგომილება, დანაშაული, რომელიც სიკ- ვდილით ისჯება?

მიუხედავად კონსენტუსის არარსებობისა განდგომი-  
ლებაზე ისლამური სამართლებრივი გადაწყვეტილებების  
შესახებ ისლამის არსებობის პირველი სამი საუკუნის  
განმავლობაში, ისლამური სამართლის მიხედვით გან-  
დგომილთათვის კანონით დადგენილი სიკვდილით დას-  
ჯის მომხრები ამტკიცებენ, რომ ასეთი კონსენსუსი არ-  
სებობდა. ამგვარად, ისინი ცდილობდნენ ყურადღების  
გარეშე დაეტოვებინათ ის ფაქტი, რომ მუჰამად შუამავ-  
ლის (ს.ა.ს.) კომპანიონი ხალიფა ‘უმარ იბნ ალ-ხატიში,  
იბრაჰიმ ან-ნახ’ი, სუფიან ას-სავრი და სხვა სწავლულები  
ასეთი სახის სასჯელს არ უჭერდნენ მხარს. ისინი მცდე-  
ლობას არ იშურებდნენ, მოესპოთ ამგვარი სასჯელის  
გადახედვის ნებისმიერი საშუალება უფრო გვიანდელი  
მოაზროვნების მხრიდან.

განდგომილების შემთხვევებთან მიმართებაში, რას  
უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი – ინდივიდის უფლებას,  
გამოხატოს თავისი პირადი შეხედულებები და რწმენა,  
თუ თემის უფლებას, შეინარჩუნოს და დაიცვას ის, რაც  
მისთვის ყველაზე წმინდაა? 2006 წელს ავღანელი მოქა-  
ლაქე აბდ ალ-რაჰმან აბდ ალ-მანნანი მსოფლიოში ცნო-  
ბილი გახდა იმით, რომ ქრისტიანობა მიიღო, შემდეგ კი  
განქორნინდა, საკუთარ შვილებზე მეურვეობა დაკარგა

და ციხეში მოხვდა. მსოფლიო ორიდერების ზენოლის შე-დეგად, იგი, საბოლოოდ, გაათავისუფლეს და მან იტა-ლიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. მისმა შემ-თხვევამ ყურადღების ცენტრში მოაქცია ისლამში გან-დგომილების საკითხი და ამ თემის მსოფლიო მასშტაბით განხილვა გამოიწვია.

ერები ჩვეულებრივ ირჩევენ უცვლელი ღირებულე-ბების წყებას, რომელთა შენარჩუნებასაც მთელი რუდუ-ნებით ცდილობენ. ეს უპირველესად შეეხება ეროვნულ იდენტობას. ამჟამინდელი ხანების დადგომამდე, თით-ქმის ყველა ერი საკუთარ რელიგიას მიიჩნევდა თავისი იდენტობის ყველაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კომ-პონენტად. ერების არსებობა, სტრუქტურა და იდენტობა განუყრელადაა დაკავშირებული იმასთან, თუ რა სპეცი-ფიკური რელიგია გაითავისეს მათ და რასთან ახდენ-დნენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. მუსლიმი სწავლულები რელიგიას ადამიანის ხუთი არსებითი საჭი-როების რიგში აყენებდნენ, როგორც საფუძველს ისლა-მური სამართლის მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტი-ლებისთვის; ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გადაწყვეტილე-ბებიდან იყო ისინი, რომლებიც შეეხება ჯიპადს, რომე-ლიც ნაწილობრივ აღიქმებოდა ისლამური რელიგიის დაცვის საშუალებად ნაციონალურ დონეზე.

განდგომილებისთვის კანონით დადგენილი სასჯე-ლი, ზოგიერთის აზრით, ვრცელდება როგორც ინდივი-დუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე, ვინაიდან ითვლება, რომ ის ეფუძნება რელიგიის დაცვის საჭიროებას მათ-

გან, ვინც ცდილობს მისთვის ზიანის მიყენებას, სარწმუნოებით მანიპულირებას ან ამბოხს მის წინააღმდეგ. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას მუსლიმმა სწავლულებმა ვერ გაიაზრეს წინააღმდეგობა რელიგიური თავისუფლების ერთსულოვნად აღიარებულ პრინციპს (როგორც ნათქვამია ყურანში – „რჩენაში იძულება არ არ-სებობს“) და მათ მიერ განდგომილთა სიკვდილით დასჯის მხარდაჭერას შორის. ჩვენი ისლამური ისტორიის სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში, ეს დასკვნა წარმოადგენდა გაბატონებულ თვალსაზრისს. ძველი დროის გამოჩენილ სწავლულთა შეხედულებები, რომლებიც არ ეთანხმებიან აბსოლუტურ უმრავლესობას – მათ შორის ისეთი გავლენის მქონე პირებს, როგორებიც არიან მეორე ხალიფა ‘უმარ იბნ ალ-ხატიაბი (644 წ.), იბრაჰიმ ალ-ნახ'ი (გ. 715 წ.), სუფიან ას-სავრი (გ. 777 წ.) და სხვა ცნობილი მოღვაწეები – არ იყო საჯარო და ფართოდ გავრცელებული.

ამდენად, ისლამური სამართლის გადმომცემები მხარს უჭერდნენ იმ მოსაზრებას, რომ არსებობდა „კონსენსუსი“, რომლის მიხედვითაც „ფიკჰის“ მკვლევართა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ განდგომილს უნდა აიძულონ ისლამს დაუბრუნდეს სიკვდილით დასჯის მუქარით. ამ გადაწყვეტილების მიზეზად მიიჩნეოდა რელიგიის დაცვა მისი დაუფასებლობის ან შელახვის მცდელობებისგან, ვინაიდან ის წარმოადგენდა საფუძველს, რომელზეც აღმოცენდა „მუსლიმი ერი“, რომელიც არის სახელმწიფოს ლეგიტიმაციის სა-

ფუძველი და ისლამური დოქტრინის წყარო, სამართალი და ყველაფერი, რაც ეხება ცხოვრების სისტემებს მუსლიმურ სახელმწიფოში.

თუმცა ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებას, აირჩიოს სარწმუნოებრივი დოქტრინა და რელიგია, გამოხატოს საკუთარი რწმენა თავისუფლად, იძულების გარეშე, რისი განხილვაც, თავდაპირველად, რეფორმატორებმა ჯამალ ალ-დინ ალ-ავლანიმ, მუჰამად აბდუმ, რაშიდ რიდამ და სხვებმა დაიწყეს. ეს მოაზროვნეები შეშფოთებულნი იყვნენ იმის გამო, რომ ისლამი ასწავლიდა განდგომილების ისლამში დაბრუნების აუცილებლობას სიკვდილით დასჯის მუქარით, რაც გულისხმობდა ისლამში იძულების არსებობას და რწმენისა და გამოხატვის თავისუფლების უგულებელყოფას. ალ-ავლანის სახელგანთქმული წიგნი „ალ-რადდ ‘ალა ად-დაჰირიდან”“ ადასტურებდა იმის აუცილებლობას, რომ მუსლიმებს უნდა დაეცვათ ყურანის მითითებები, რომ მშვიდობიანად ედავათ მათთან, ვინც არ ეთანხმებოდა, ეპასუხათ მათ მტკიცებებზე, გაეფანტათ ეჭვები და მათ მიერ წამოყენებული არგუმენტები ისლამური მტკიცებულებებითა და მოწმობებით. თუმცა, იმ დროს ეს საკითხი ვერ გადაწყდა და დარჩა წინააღმდეგობრივად. ხოლო სკეპტიკოსები, საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე, არ ასაჯაროვებდნენ აღნიშნულ თემას.

გადავინაცვლოთ 1985 წლისაკენ, როდესაც სუდანის პრეზიდენტმა, ჯაფარ ნუმაირიმ, გამოიყენა ისლამური სამართალში არსებული მიწერილობები მაჰმუდ მუ-

ჰამმად ტაპას სასიკვდილო განაჩენის აღსრულების მიზნით. ამას მოჰყვა საღმან რუშდის საქმე და შემდგომ მისი სიკვდილით დასჯის ბრძანება ირანის მმართველის, იმამ ხომეინის მიერ. ორივე შემთხვევა აღმოჩნდა საერთაშორისო ყურადღების ცენტრში. ისლამი გამოცხადდა მტრულად განწყობილად თანამედროვე დასავლეთის ღირებულებებიდან უმთავრესის მიმართ: „ფათვებმა“ (რელიგიურ-სამართლებრივი გადაწყვეტილებები) და წიგნებმა, რომლებიც მოჰყვა რუშდის საქმეს, განამტკიცა განდგომილებისთვის სიკვდილით დასჯის დებულების სტატუს კვო. უფრო მეტი შემთხვევა მოხდა ეგვიპტეში, რამაც ქვეყნის განათლებულ ელიტაში დაპირისპირება გამოიწვია, მაშინ როცა გაერო, მისი სატელიტი ინსტიტუციები და ახალი მსოფლიო წესრიგის სხვა ორგანოები აგრძელებდნენ თავდასხმას ისლამზე. შედეგად, როგორ უნდა გაუმკლავდნენ მუსლიმები ამ სირთულეს, რომელიც აგრძელებს მათ ტანჯვას და რომელმაც გააუცხოა ადამიანები ისლამისგან და მასზე თავდასხმა განაპირობა?

მუსლიმი სამართალმცოდნების წესის შესაბამისად, ეს კვლევა იყენებს ტერმინს „ჰადდ“ (მრავლობითში „ჰუდუდ“) ღვთის კანონებისა და მინერილობების აღწერის მიზნით. არაბები, როგორც წესი, იყენებდნენ ლინგვისტურ ტერმინს „ჰადდ“ ორ რაიმეს შორის ბარიერის მნიშვნელობის აღსანიშნად. მუსლიმი სამართალმცოდნებისა და იურისპრუდენციის მეთოდოლოგიის მკვლევართა მიერ გამოყენებულ ტერმინებში, როგორც წესი,

ჭარბობდა არა „ყურანის ენა“, არამედ „არაბული ენა“. ამის თვალსაჩინო მაგალითი შეიძლება დავინახოთ ტერ-მინში „ჰადდ“ და მის მრავლობითში – „ჰუდუდ“. ეს ტერ-მინი გამოყენებულია ყურანის თხუთმეტ აიაში. ორ მათ-განში იგი იხმარება „ლვთის კანონისა და ბრძანებების“ მნიშვნელობით, რაც მოიცავს მარხვის, ქორწინება/გან-ქორწინებისა და მემკვიდრეობის პრაქტიკას. არცერთ აიაში „ჰუდუდ“ არ უკავშირდება სასჯელს, არამედ გუ-ლისხმობს საღვთო მინერილობებისა და კანონების დაც-ვის აუცილებლობას.

ყურანი ხაზს უსვამს იმ საღვთო კანონების დაცვის მნიშვნელობას, რომლებიც უკავშირდება ოჯახურ სა-კითხებს, ასე რომ მავანს გაუჩინდება კითხვა, თუ როგორ მოახერხეს მუსლიმმა სამართალმცოდნეებმა ყურანის ამ ტერმინის შეცვლა და მისი მნიშვნელობის შეზღუდვა სასჯელაღსრულების სისტემით. ტერმინი „ჰადდ“, ლინ-გვისტური თვალსაზრისით, პრევენციას ან აკრძალვას ნიშნავს. გარდა ამისა, ყურანში ხსენებულ სასჯელებთან დაკავშირებით, ქურდობისა და სექსუალური გადაცდო-მის შემთხვევაში ტერმინი „ჰადდ“ არ იხმარება. რა უდევს საფუძვლად ამ სიტყვის ყურანისეული მნიშვნე-ლობით გამოყენების ასეთ უხეშ დარღვევას?

მმართველი სასჯელაღსრულების სისტემას აღიქ-ვამს წესრიგის დამყარების, პატივისცემის მოპოვების და მიზნების მიღწევის საუკეთესო საშუალებად. ყველაზე მკაცრი სასჯელაღსრულების სისტემაა ის, რომლის უფ-

ლებამოსილებაც შეიძლება ღმერთს მიეწეროს, ვინაიდან, ამ ტიპის სისტემის მეშვეობით, მმართველს შეუძლია თავისი რეჟიმისთვის ყველაზე დიდი სარგებელი მიიღოს. აქედან გამომდინარე, ისეთი ღვთისმოსავი სწავლულები, როგორიცაა იმამ მჩლიქი, აბუ ჭანდფა, აშ-შაფი'ი, აჭმად იბნ ჭანბალ ალ-ჭასან ალ-ბასრი, სუფიან ას-საური“ და სხვები, ხშირად დებდნენ ბრალს მმართველებს სასჯელის ბოროტად და საკუთარი ტირანული და თვითნებური მიზნებისთვის გამოყენებაში. მუსლიმური მემკვიდრეობის წერილობითი კორპუსი შეიცავს სამართალმცოდნების მიერ მმართველებისა ამგვარ მხილებასა და დარიგებას, რაც, ასევე, მათ ეპისტოლებში, გაკვეთილებსა და სამართლის წიგნებში გვხვდება. მართლაც, ჩვენს ეპოქაში, „პოლიტიკური ისლამის“ მომხრეებს ისლამი და ისლამური სამართალი მთლიანად სასჯელალსრულების სისტემამდე დაჰყავთ. შესაბამისად, როდესაც მრავალი ასეთი ადამიანი ისლამური სამართლის გამოყენების შესახებ საუბრობს, ის, რასაც ისინი გულისხმობენ „ისლამური სამართლის“ ქვეშ, სხვა არაფერია, თუ არა მასთან ასოცირებული სასჯელები. მსგავსად, ზოგიერთი რეჟიმი სისწრაფეს იჩენს გარკვეული სასჯელის გამოყენებისთვის, რათა გამოხატოს თავისი უმწიკვლო რელიგიურობა და შარიათისადმი ერთგულება.

რელიგიის სიწმინდე აშკარად ეწინააღმდეგება იმ დამახინჯებებს, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის რელიგიურობიდან და რელიგიის გაგების გზებიდან. ასეთ დამახინჯებებს რელიგიური კონცეპტების მოსპობა

შეუძლია, რომლებიც დაცლილია სწორი შინაარსისგან და სხვა მნიშვნელობები აქვთ მინიჭებული. ღმერთი აცხადებს, რომ მან წარმოაგზავნა თავისი შუამავლები, რათა ხალხს არ ჰქონდა მის საწინააღმდეგოდ არანაირი არგუმენტი, მაგრამ ასევე დასტურდება ადამიანის მხრიდან პროტესტისა და არგუმენტირების უნარი, მტკიცებულების და დასაბუთების ძიების თანდაყოლილი სურვილი. ყურანი ფართოდ უშლის ისლამს სივრცეებს, რომელთა თვითგანახლებაც ხდება დროთა მდინარებაში: ის უზრუნველყოფს მტკიცე საფუძველს ისლამის მარადიული დოქტრინისთვის და ნათელს ჰქონის მისი სამართლის პრინციპებს. სუნა წარმოადგენს ყურანის გამოყენებას, რომელიც ასახავს ყველაზე მაღალი, ზუსტი გააზრების დონეს.

სუნა, მთლიანობაში აღებული, იძლევა მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) ემულაციის (მიბაძვის) მეთოდოლოგიას. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ უმთავრესი განსხვავებები, ერთი მხრივ, მიბაძვასა და მორჩილებას და, მეორე მხრივ, იმიტაციასა და კრიტიკის გარეშე მიღებას შორის. ემულაცია და მორჩილება არის პროცესები, რომელიც ეფუძნება მტკიცებულებათა ავტორიტეტულ ბუნებას, დამაჯერებლობას, მის ცოდნასა და გაცნობიერებას. რაც შეეხება იმიტაციასა და კრიტიკულად განსჯის გარეშე მიღებას (ათ-თაკლიდ), ისინი წარმოადგენს ერთგვარ მიმიკრიას, რომელსაც წინ არ უძლოდა შესატყვის დასაბუთებაზე არანაირი დაკვირვება ან მისი გააზრება.

იჯთიპადი არის ისლამური სამართლის გამორჩეული მახასიათებელი, დამოუკიდებელი განსჯისა და რეფორმის ძირითადი ელემენტი. მსჯელობა სუნაზე, როგორც ყურანის განმარტებაზე, ახსნასა და გამოყენებაზე, ასევე მოითხოვს იჯთიპადს. განმარტების ეს მნიშვნელოვანი პროცესი არის დროთა განმავლობაში მსოფლიოს ხალხებისა და თვალსაზრისების მრავალფეროვნების აღიარებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

## თავი მეორე

### განდგომილების აღწერა ყურანში

ყურანში წარმოდგენილია განდგომილების კონცეფციის ფუნდამენტური მახასიათებლები. საბოლოო ჯამში, განდგომილება, ისლამისა და ლვთის მიმართ მონანიების თუ აღიარების ნაკლებობა, სასჯელს იწვევს საიქიოში. განდგომილი მხოლოდ საკუთარ თავს აყენებს ზიანს. ისინი, ვინც თავიანთ რწმენას განმეორებით განუდგებიან, რაც არ უნდა გააკეთონ, ვეღარ შეძლებენ ლვთისგან პატიების მიღებას.

მავანის მიერ ჩადენილი განდგომა, თუ მან ეს განახორციელა ზეწოლის შედეგად, როდესაც მას სხვა გზა არ ჰქონდა, არ იმოქმედებს მის რეალურ რწმენაზე. ერთადერთი გზა რომლითაც განდგომილებამ შეიძლება

იმოქმედოს ნამდვილ რწმენაზე, თავისი გულის გახსნაა გაცნობიერებით და საკუთარი ნებით ჭეშმარიტების უარყოფისთვის. სუსტი რწმენა, დარწმუნებულობის ნაკლებობა და სუფთა გულით ღმერთის თაყვანისცემის უუნარობა განდგომილებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ამოსავალ წერტილთა შორისაა. ნებისმიერი საქმიანობა, განხორციელებული პიროვნების მიერ, ვინც უარყოფს ჭეშმარიტებას, არაფრისმომტანი იქნება და ეს არის შედეგი, რასაც იგი უნდა ელოდოს.<sup>3</sup> ტერმინი „განდგომილება“ გადმოსცემს ისლამისა და რწმენის უარყოფას მას შემდეგ, რაც ადამიანმა ისინი მიიღო ღმერთის მითითებების შესაბამისად.

ტერმინები „არ-რიდდა“ და „ალ-ირთიდად“, ყურანისეული გაგებით, წარმოადგენს რაიმესადმი დაბრუნებას, რომელიც მავანმა დატოვა, რაიმესაგან, რომელსაც ამ მავანმა მიაღწია. თუმცა, ყურანის არცერთ განსხვავებულ კონტექსტში, რომელიც განდგომილებას ეხება, არ არის ნათქვამი, რომ ის მხოლოდ ისლამზე უარის თქმას გულისხმობს ან მხოლოდ სულიერ მხარეს. პირიქით, ყურანი იყენებს ტერმინს ინკლუზიურად როგორც სულიერის, ისე მატერიალურის აღსანიშნავად, ზმნასთან „რადდა“ კომბინირებით, რაც განრიდებას, ზურგის შექცევას ნიშნავს. „რიდდა“ ყურანში არის ისლამის აშკარა მიტოვება და ურწმუნოებაზე გადასვლა. გაფრთხილე-

---

<sup>3</sup>. ყურანი აღწერს განდგომილებას ყურანის შემდეგ აიგბში 2:217; 3:86; 3:90-91; 3:98; 3:106; 3:177; 4:137; 5:54; 16:106; 22:11; და 47:32.

ბასთან ერთად, აიები ყველას, ვინც ისლამს იღებს, მოუწოდებს მისი მოძღვრების მკაცრად დაცვას, რადგან ეს ჭეშმარიტი გზამკვლევია: სიცოცხლისა და ცხოვრების საუკეთესო, ყველაზე ავტორიტეტული, მყარი საფუძველია.

ყურანში განდგომილების (რიდდა) კონცეფციის ამ განმარტების გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ იყენებს ყურანი ამ ლინგვისტურ ტერმინს სხვადასხვა მნიშვნელობის გადმოცემისთვის — სახელმწიფოს სახით, რომელიც დაკავშირებულია რელიგიასთან. სახელმწინა „ალ-რიდდა“ გამოიყენება ისლამის-გან განდგომილების აღსანიშნავად. პირი უარს ამბობს საკუთარ რწმენაზე იმ შემთხვევაში, თუ ის უარყოფს ჭეშმარიტებას მას შემდეგ, რაც ისლამის მეშვეობით ღმერთს დაემორჩილა. „რიდდა“—ს საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ რელიგიაზე უარის თქმის მნიშვნელობით, კერძოდ კი, ისლამის რელიგიაზე.

ზემოხსენებული არცერთი აია, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც ყურანს აქვს სათქმელი „რიდდა ან ირ-თიდად“ -ის შესახებ, არ ახსენებს განდგომილების ცოდვისა ან დანაშაულისთვის დადგენილ მიწიერ სასჯელს. ასევე, არც პირდაპირ და არც ირიბად არაა ნახ-სენები ის ფაქტი, რომ განდგომილი ისლამს იძულებით უნდა დაუბრუნდეს ან სიკვდილით დაისაჯოს იმ შემთხვევაში, თუ ის უარს იტყვის ხელმეორედ ისლამზე მოქცევაზე. ყურანის მიხედვით, ტერმინი „რიდდა“ ასახავს იმ ფსიქოლოგიურ და მენტალურ მდგომარეობას,

რომელმაც მოცემული ინდივიდი მიიყვანა განდგომილებამდე.

ადამიანის თავისუფლება არის ისლამური სამართლის ერთ-ერთი უზენაესი ღირებულება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი განზრახვა. მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული როლი, რომელსაც ასრულებს რწმენა, კერძოდ, ღმერთის ერთადერთობის მტკიცება, არის ის, რომ იგი ათავისუფლებს ადამიანებს ცრურნმენისაგან, კერპთაყვანისმცემლობისგან, შექმნილ არსებათა თაყვანისმცემისგან და ყოვლისშემძლე ღმერთთან აკავშირებს. ყურანის ბევრი აია ზეგარდმოვლენილია ამ თავისუფლების მხარდსაჭერად და დასაცავად. რელიგიური თავისუფლებისადმი მიძლვნილი ყურანის მრავალი აია ამ უფლებისა და ვალდებულების ურთიერთმხარდამჭერია, რომ ის დაიცვას ნებისმიერი გარეგანი ჩარევისა თუ შელახვისგან.

ამ აიებიდან, ჰირველ რიგში, გამორჩეულია ის, რომელშიც განცხადებულია: „**რწმენის საკითხებში ძალადობა არ უნდა იყოს**“ როდესაც მექელმა ურნმუნოებმა ჰიჯრით მეოთხე წელს მუსლიმთა წინააღმდეგ ომი გააჩაღეს, რამდენიმე კომპანიონმა შუამავალს სთხოვა მიეცა უფლება, იუდეველი ბავშვებისთვის დაეძალებინათ ისლამის მიღება, მაგრამ შუამავალმა არ დართო მათ ამის ნება. საკითხში, რომელიც უფრო პოლიტიკას უკავშირდება ვიდრე რელიგიას, ზოგიერთი რელიგიის მიმდევართა შორის, კერძოდ კი, ქრისტიანებში, მიღებული იყო ადამიანების თავიანთ რწმენაზე იძულებით მოქცე-

ვა.<sup>4</sup> ყურანის ბევრი აია მუპამად შუამავლისთვის (ს.ა.ს.) ნათელს ხდის, რომ სხვებისადმი იძულება და რწმენის თავს მოხვევა უსარგებლოა.<sup>5</sup>

განსხვავება შეიძლება შეინიშნებოდეს ყურანის ორგვარ დამოკიდებულებას შორის: დამოკიდებულებას – „თავდაპირველი ურნმუნოებისადმი“, რაც იმას ნიშნავს რომ ადამიანს არასდროს ჰქონდა რწმენა, და დამოკიდებულებას ურნმუნოებისადმი, რაც იმას ნიშნავს რომ ადამიანმა რწმენაზე უარი თქვა მას შემდეგ, რაც იწამა. ასეთი განსხვავება აღიარებს თავისუფლებას, რომელ-საც ყურანი ანიჭებს ჯერ კიდევ თავდაპირველი ურნმუნოების მდგომარეობაში მყოფ პიროვნებას, მაშინ როცა უარს ეუბნება ამგვარივე თავისუფლებაზე მათ, ვინც რწმენას განუდგა.

რაც შეეხება განდგომილების შემდგომი მონანიების საკითხებს და შეიძლება თუ არა ასეთი მონანიების მიღება, ყოველივე ეს ღმერთის განსასჯელია. სანამ განდგომილებას არ ახლავს რაიმე დანაშაული, ის მკაცრად

<sup>4.</sup> საყურადღებო მაგალითს წარმოადგენს ესპანეთის ინკვიზიცია – რომის კათოლიკური ტრიბუნალი, რომელიც შეიქმნა მე-12 საუკუნეში და ცნობილი იყო მწვალებლობისთვის დასჯის სიმკაცრით. ესპანელი მონარქების, ფერდინანდისა და იზაბელას მიერ გამოცემული ბრძანებები 1492 წელს (ალჰამბრას განკარგულება), 1501 წელს მოითხოვდნენ ებრაელებისა და მუსლიმებისგან სარნმუნოების შეცვლას ან ესპანეთის დატოვებას.

<sup>5.</sup> მაგალითად, 6:107 და 10:99.

რჩება ღმერთსა და ინდივიდს შორის და არ შედის ამ-ქვენიური მმართველების ან ვინმე სხვას კომპეტენციაში.

## თავი მესამე

### **განდგომილება მუჟამად (ს.ა.ს.) შუამავლის სიცოცხლის მანძილზე**

ისლამში არსებობს აქსიომატური ჭეშმარიტება, კერძოდ ის, რომ ყურანი წარმოადგენს ყველა დოქტრინის, კანონების, სისტემების, პრინციპებისა და წესების საფუძველს, რომელთაც მოიცავს ისლამის რელიგია. სუნა არის ყურანის განმარტება და ახსნა, მაგალითი, თუ როგორ უნდა დამორჩილდე მის მოძღვრებას და მუჟამად შუამავლის (ს.ა.ს.) მიერ განცხადება იმისა, რაც ყურანმა დააწესა. არსებობს უამრავი განსხვავება ყურანსა და სუნას შორის. ყურანით რომ დავიწყოთ, ის არის ფუძემდებელური წყარო ისლამური სამართლებრივი გადაწყვეტილებებისა, ხოლო ავთენტური სუნა არის სავალდებულო წყარო იმის განმარტებისთვის, რაც გადმოცემულია ყურანში. ყურანი და სუნა ერთობლივად წარმოადგენენ მტკიცებულების წყაროებს. არ შეიძლება არსებობდეს კონფლიქტი, წინააღმდეგობა, შეუსაბამობა ან უთანხმოება მათ შორის და ვერც სუნას რომელიმე ნაწილი გააუქმებს ან გააბათილებს ყურანში ნათქვამს. სუნა განმარტავს ყველაფერს, რაც განცხადებულია ყურანში.

ყურანის პრიციპები და ეპისტემოლოგიური მეთოდოლოგია ნათლად აკონკრეტებს რელიგიური თავისუფლების უპირობო ბუნებას. ყურანი მკაფიოდ აცხადებს, რომ სასჯელი, რომელიც ეკისრება ურნმუნოსა ან რჯულგანდგომილს, განხორციელდება იმქვეყნიურ ცხოვრებაში. მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) ეპოქაში ასობით ადამიანი იყო, რომელთაც იწამეს, შემდეგ კი ფარისევლები გახდნენ ან რწმენას განუდგნენ. ფაქტობრივად, მათი განდგომილება მივიდა იმ წერტილამდე, როდესაც იგი ზიანის მომტან წყაროდ იქცა ღვთის შუამავალსა და მუსლიმი თემისთვის. თუმცა მუჰამად შუამავალი (ს.ა.ს.) თავს არიდებდა განდგომილებისთვის ზიანის მიყენებას, რათა მათ არ ჰქონოდათ იმის თქმის საფუძველი, თითქოს, „მუჰამადი კლავს თავის კომპანიონებს“, თავს ახვევს საკუთარ მოძღვრებას ხალხს ან აიძულებს მისი რელიგიის აღიარებას. შუამავალს არცერთ შემთხვევაში არ მოუწოდებდა სიკვდილით დასჯისკენ, იმ შემთხვევების გარდა, თუ ჩადენილი იყო სხვა ისეთი დანაშაული, რომელიც ამგვარ სასჯელს ითვალისწინებდა.

მაგალითად, მუჰამად შუამავლის ბიოგრაფიის შემსწავლელ ისტორიკოსთა და სწავლულთა უმრავლესობა ახსენებს, რომ ზოგიერთი ადამიანი რომელმაც ადრე მიიღო ისლამი, განუდგა რწმენას მას შემდეგ, რაც ღმერთის შუამავალმა უამბო მათ თუ რა შეემთხვა იმ ღამეს, როდესაც მას სასწაულებრივი მოგზაურობის განხორციელება მოუწია მექიდან იერუსალიმში, რის შემდეგაც ზოგიერთმა მუსლიმმა უარყო რელიგიური მრწამსი და ადრე მიღებულ რელიგიას ზურგი შეაქცია. მუჰამად შუ-

ამავლის სიცოცხლეში ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც განდგომილი სიკვდილით ისჯებოდა, როგორც გადმოცემულია ჰადისებში სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, იყო დანაშაულისა ან მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებისთვის და არა მათი განდგომილების გამო.<sup>6</sup> ღმერთმა მართლაც უბრძანა შუამავალს ებრძოლა ჭეშმარიტების უარმყოფელთა და ფარისეველთა წინააღმდეგ.

არ არსებობს არანაირი ღვთიურად განცხადებული სასჯელი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი, ვინც რწმენას განუდგება მას შემდეგ, რაც იწამა, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ვერც ყურანში და ვერც მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) ქმედებებში ჩვენ ვერ მოვიძიებთ მითითებას იმის შესახებ, თითქოს შუამავალმა იცოდა, რომ ღმერთმა დააწესა განსაზღვრული სასჯელი განდგომილების-თვის. მას ამის შესახებ რომ სცოდნოდა, არ იყო ყმანებდა მის შესრულებას, ვინაიდან იგი სხვა შემთხვევებში არ ყოფილი დანაშაულებისთვის დასჯის მოთხოვნას.

როდესაც მუსლიმმა იურისტებმა დაინახეს, რომ ყურანი ისეთს არაფერს შეიცავს, რაც შეიძლება ჩაითვალოს წინასწარ დადგენილ კანონიერ სასჯელად განდგო-

---

6. მუჰამად შუამავლის სიცოცხლის მანძილზე სხვა განდგომილების კონკრეტული მაგალითებისა და მუსლიმი თემის მიერ მათ მიმართ დამოკიდებულების ამსახველი მაგალითების გაცნობის მიზნით იხილეთ ამ კვლევის სრული გამოცემა.

მილებისთვის, რომ სუნა – მათ შორის, მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) სიტყვები და მისი ქმედებები – ასევე არ შეიცავს მსგავს სასჯელს და რომ რწმენის არჩევის თავისუფლება წარმოადგენს უზენაეს ღირებულებას ყურანის თითქმის ორასი აიას მიხედვით, ისინი მაინც უჭერდნენ მხარს იმ შეხედულებას, რომ განდგომილი სიკვდილით უნდა დასჯილიყო, რაც, მათი აზრით, მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) კომპანიონთა კონსენსუსითაა დადასტურებული – მუჰამად შუამავლისა (ს.ა.ს.) და რიგი ტრადიციისადმი მიცემულ განცხადებასთან დაკავშირებით არასრულად გადმოცემული ჰადისის შესაბამისად, რომელთავან არცერთი არაა თავისუფალი საეჭვო ელემენტებისგან.

მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) ცხოვრებიდან აღნიშვნას იმსახურებს კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც ეხება მუსლიმ თემსა და წარმართ კურაიშის ტომს შორის 627 წელს დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ათი წლის მანძილზე, ომი შეეწყვიტათ. „**ჰუდამბიდას ზავი**“ ძალაში ათი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ ორი წელი გასტანა, რადგან ის კურაიშის ტომმა დაარღვია. „**ჰუდამბიდას ზავი**“ მოწმობს, რომ წმინდა შუამავალს არასდროს დაუკისრებია სასჯელი განდგომილების აქტისთვის, ვინაიდან შეთანხმების საკვანძო პირობა აიძულებდა მას ამ პრინციპის უგულებელყოფას. მას რომ ოდესმე ეარსება, რა თქმა უნდა, ის არასდროს დაარღვევდა აღლაჲის ნებისმიერ მიწერილობას პოლიტი-

კური ან სხვა სახის მიზნებისთვის. ხელშეკრულების თანახმად, ვინც აირჩიევდა მუსლიმთა ბანაკის დატოვებას, მიეცემოდა კურაიშის ტომთან დაბრუნების საშუალება – თავისუფლად, რეპრესიების გარეშე. ხელშეკრულება მშვიდობის მნიშვნელოვან პერსპექტივას ქმნიდა ალლაჰის ნებისმიერი ბრძანების დარღვევის გარეშე. არ შეიძლება ამ ფაქტის იგნორირება. ამასთანავე, ნებისმიერის-თვის, ვინც შეეცდებოდა გვერდი აევლო ამ მკაფიო მითითებისთვის – სასჯელი არ იყო გათვალისწინებული განდგომილებისთვის მხოლოდ იმის გამო რომ ეს შეთანხმება მოხდა მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება დაიდო. ეს აშკარად არასწორი იქნებოდა, რადგან არ არსებობს მკაფიო ისტორიული მტკიცებულებები იმისა თუ როდის მოხდა ამ მინერილობის დაკანონება.

დადგენილი ფაქტია, რომ შუამავალს, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, არცერთი განდგომილი არ დაუსჯია სიკვდილით. მას რომ ჰქონოდა ლვთიური ბრძანება განდგომილების სიკვდილით დასჯისა, შუამავალი არ იყოყმანებდა ამის აუცილებლად და უპირობოდ შესრულებას. რაც შეეხება ამ კვლევაში მოყვანილი შემთხვევებს, რომლებიც მოიცავს განდგომილების მკვლელობას, ეს ის შემთხვევებია, როდესაც განდგომილება მრავალსხვა დანაშაულთან იყო დაკავშირებული. ასეთ დროს განდგომილება თემის წინააღმდეგ აჯანყების გამოცხადებისა და მის მიმართ მტრობის ტოლფასია.

## თავი მეოთხე

### **პასუხი განდგომილებაზე ზეპირსიტყვიერ სუნაში**

ზეპირსიტყვიერ სუნა, რომელიც შედგება მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) მიერ გაკეთებული განცხადებებისგან, შეიცავს ცალკეულ ჰადისებს, რომლებშიც განდგომილების მოკვლის ბრძანებაც შედის. ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ჰადისში, რომელიც ყველაზე ხშირადაა მოხსენიებული მუსლიმ სამართალმცოდნეთა მიერ და მათი უმრავლესობაც ამ კონკრეტულ ჰადისს ეყრდნობოდა განდგომილებისთვის სიკვდილით დასჯის შესახებ კამათში, განცხადებულია: „თუ ვინმე შეიცვლის თავის რელიგიას, სიკვდილით დასაჯეთ ის“. ეს ჰადისი ფართოდ გახდა ცნობილი ისლამის ადრეული ხანების შემდეგ. ამასთანავე, მანამდე ეს იყო მხოლოდ ცალკე არსებული ჰადისი („ჰადის აჰკად“), რომელიც ითვლებოდა არასრულად გადმოცემულად.

ეს კონკრეტული ჰადისი უკავშირდება იმ სიტუაციას, როდესაც ებრაელი ლიდერები იღწვოდნენ მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს.) გამოცხადებისა და მისი მისიის ნებისმიერი საშუალებით შელახვის, მედინაში მუსლიმების შესახებ სიცრუის გავრცელების, შეთქმულებებით უთანხმოებების გაღვივების და მთლიანობაში ჯგუფის უსაფრთხოების დარღვევისთვის. ეს არ იყო ის შემთხვევა, როდესაც მუსლიმს იწამა ისლამი, შემდეგ განუდგა

რწმენას და ისევ მოიქცა ისლამზე. ზემოხსენებულ სიტუაციაში წმინდა შუამავალს სასიკვდილო განაჩენი არ-ცერთხელ არ გამოუტანია. თუმცა ამ ჰადისმა უკვდავყო განდგომილებისთვის სიკვდილით დასჯის მაგალითი ისლამში. ეს კვლევა უარყოფს ბუნდოვან გადმოცემას, რომელიც მიენერება იმამ ‘ალის, როგორც საფუძველს ჰადისის განმარტებისთვის. ყურანში თემების დაძაბულობის შესახებ შემდეგია განცხადებული:

„თუ ფარისევლები და ისინი რომელთა გული დაავადებულია, ასევე ისინი, რომლებიც ყალბი ჭორების გავრცელებით იწვევენ [მოციქულის] ქალაქში (მედინაში) არეულობას, თუ უარს არ იტყვიან [მათ ბნელ განზრახვებზე], უეჭველად (შენ) მოგანიჭებთ ძალაუფლებას მათზე, ისინი ვერ იცხოვრებენ შენს მეზობლად აქ [ამ ქალაქში], გარდა მცირე ხნისა, დაწყევლილი არიან ისინი. ისინი ყველგან შეპყრობილნი იქნებიან, სადაც კი მათ წააწყდებიან და განადგურებულნი იქნებიან ყველანი. ასეთი იყო ალლაჰის გზა [ვინც ამ სახის ცოდვაში ჩავარდა] აღრე მყოფელთათვისაც. ვერასდოროს იპოვი რაიმე ცვლილებას აღლა-ჰის კანონებში“!<sup>7</sup>

ყურანის ეს აიები ზეგარდგამოვლინდა ისლამის შიდა ფრონტის წინააღმდეგ ამ სახის შეთქმულების შეჩერებისა და მისი დანაწევრების მცდელობებისას. აქედან გამომდინარე, თუ ასე უდერს ჰადისი, რომლის მიხედვი-

7. სურა 33 (აზჰაბ), აიები: 60-62

თაც შუამავალმა თქვა: „**თუ ვინმე შეიცვლის თავის რელიგიას, დასაჯეთ ის სიკვდილით**“, გონივრული იქნება იმის მიჩნევა, რომ ის გულისხმობდა უსაფრთხოების სერიოზულ პრობლემებს.

ჩვენი ისლამური იურისპრუდენციის მავნე და ხშირი ჩვევა არის ჰადისის იმაზე უფრო მაღლა დაყენება, ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკის დონეზე მაინც, რაც მკაფიოდ არის განცხადებული ყურანში. ამგვარი მიღვომით, ჰადისი მაღლდება ყურანის განმარტებისა და ახსნის სტატუსიდან (რომელიც განმარტავს და შეესაბამისება იმას, რაც განმარტებულია), მის თანასწორ ან პარალელური ხასიათის სტატუსამდე. ამ პროცესის საბოლოო შედეგი, გასაკვირი არ არის, რომ ჰადისისთვის ყურანზე უზენაესობის დაშვება გადაწყვეტილების მიღების დროს მასზე დაყრდნობა იყო. ამ მიზეზით, კვლევაში ციტირებულია ჰადისი ისე, როგორც ჩვენამდე მოაღწია გადმომცემთა მრავალსახოვანი ჯაჭვითა და სხვადასხვა ვარიანტით, ისე როგორც ამის მხარდამჭერი ტექსტური მტკიცებულებები და ის, რაც მეცნიერებს უნდა ეთქვათ მის შესახებ.

ამგვარი ქმედებით, მავანს შეიძლება საშუალება მიეცეს, დაინახოს, თუ როგორც იყენებდნენ მას სწავლულები იმ კონტექსტიდან ამოღებით, რომელიც უბრალოდ განმარტავს ყურანს და იმ კონტექსტში ჩასმით, რომელიც მას არეგულირებს და გადაწყვეტილებას იღებს და რომელიც საკუთრივ ყურანში არ მოიძებნება. მაგალითად, შეიძლება აღმოვაჩინოთ რომ ეს ჰადისი შე-

იცავს ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის გამართლებას, მაშინ როცა ყურანი დიდ ყურადღებას უთმობს მის შენარჩუნებასა და დაცვას, ყველა საშუალებით ცდილობს თავიდან აირიდოს მისი განადგურება.

გარდა ამისა, ყურანის დაახლოებით ორასი აია უარყოფს რწმენის საკითხებში იძულების პრინციპს და ითვალისწინებს ადამიანს აბსოლუტურ თავისუფლებას — იმის შეუზღუდავად არჩევას, თუ რა უნდა იწამოს და რომელი რელიგია აღიაროს. როგორც დავინახეთ, ყურანი ამტკიცებს, რომ რელიგიის შეცვლისთვის არ არსებობს, დაუშვებელია ამქვეყნიური დასჯა (თუ ეს ადამიანი არ არის დამნაშავე სხვა დანაშაულის ჩადენაში). პირიქით, ყურანი ადასტურებს იმას, რომ უბრალო განდგომილებისთვის (ანუ განდგომილებისთვის, რომელიც არ არის დაკავშირებული სხვა დანაშაულთან) სასჯელის დაკისრების უფლება ეკუთვნის მხოლოდ ღმერთს. როდესაც ადამიანი განიხილავს ამ ჰადისს ყურანის აიების კონტექსტში, რომელთა მნიშვნელობაც განმსაზღვრელია და ნათელი, მას არანაირი სირთულე არ ექმნება. თუმცა, როდესაც ჰადისების სხვადასხვა ვერსიები ყურანისგან იზოლირებულად არის ციტირებული, ხოლო ზოგიერთი გადმომცემი ამ მოვლენებს სხვა მოვლენებთან და ისტორიებთან აკავშირებს, ჰადისი შეიძლება გაუგებარი გახდეს. დამატებით, ზოგიერთი ჰადისის გადმომცემთა

ჯაჭვები შეიძლება არასრული ან/და სუსტი იყოს. ამითომ ასეთი ჰადისები არ წარმოადგენს სანდო წყაროს.<sup>8</sup>

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ გადმოცემათა ჯაჭვების ჩანაწერების შესახებ არსებული პრობლემების განხილვის გარდა, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ბევრი მათგანი ერთ გადმომცემს უკავშირდება. ზოგიერთი გადმოცემა, რომელიც აღწერს განდგომილების ცეცხლში დაწვას, არ მიუთითებს, განდგომილების დაწვა მათი ხმლით სიცოცხლის გამოსალმების შემდეგ მოხდა თუ ისინი ცოცხლად დაწვეს. გარდა ამისა, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ამ გადმოცემების უმეტესობაში იკვეთება ბევრი ბუნდოვანება და შეუსაბამობა. ეს კვლევა, ასევე, ცდილობს აჩვენოს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყურანის უზენაესობა სუნაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყურანი ადასტურებს სუნას სანდოობას და არა პირიქით. ეს აქცენტი გაძლიერდა ადრეული ხანების ისლამურ კულტურაში, ორი მართლმორწმუნე ხალიფის – აბუ ბაქრისა და ‘უმარ-იბნ ალ-ხატტაბის ქმედებებითა და პოლიტიკით, რომლებიც ყურანითა და სუნათი ხელმძღვანელობას ემხრობოდნენ.

---

8. ჰადისის გადმოცემისა და განდგომილების შესახებ სუსტი ჰადისების კონკრეტული მაგალითების გაცნობის მიზნით იხილეთ ამ კვლევის სრული გამოცემა.

## თავი მეზოთი

**მუსლიმი სამართალმცოდნების შეხედულება  
განდგომილებისთვის სასჯელის შესახებ**

აქ წარმოებული დისკუსიის ფარგლებში, ისლამური იურისპრუდენციისა და მისი იურისტების პოზიციის წარმომჩენი მომდევნო ნაბიჯებია იმ მტკიცებულებების განხილვა, რომელთა საფუძველზეც ისინი აყალიბებენ საკუთარ დამოკიდებულებას. მუსლიმი იურისტების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ეყრდნობა ორ საფუძველს: ზეპირსიტყვიერ სუნასა და მცდარ შეხედულებას, რომ ჰადისი – „თუ ვინმე შეიცვლის რელიგიას, სიკვდილით უნდა დაისაჯოს“ – დასაბუთებულია. გარდა ამისა, ის ეყრდნობა ამ ჰადისის განზოგადებულ გამოყენებას ყველას მიმართ, ვინც კი შეიცვლის საკუთარ რელიგიას, მიუხედავად იმისა, ებრძოდა ის ისლამსა და მუსლიმებს, თუ არა.

მეორე საფუძველი, კონსენსუსზე პრეტენზია, შეცდომაში შემყვანია: სწავლულთა განსხვავებული შეხედულებებიდან გამომდინარეც კი იმის შესახებ, თუ რა არის „კონსენსუსი“, ისლამის სამართლებრივი სკოლები განსხვავებულად აღიქვამენ აღნიშნულ საკითხს. ყველაზე აღიარებულ სამართლებრივ სკოლებს ერთმანეთში ერევათ განდგომილება პოლიტიკური მნიშვნელობით და განდგომილება, როგორც პირადი შეხედულებებისა და რწმენის შეცვლა. ზოგიერთი სკოლა მიიჩნევს, რომ ის-

ლამისგან განდგომა არის დანაშაული, რომლისთვისაც არსებობს საღვთო ბრძანებით განსაზღვრული სასჯელი და ეს სასჯელი ყოველგვარი შემწყალებლობის გარეშე უნდა აღსრულდეს. სხვები თვლიან, რომ განდგომილება დანაშაულია, რომელიც მოითხოვს მხოლოდ დიფერენცირებულ სასჯელს, მაშინ როცა მესამე ჯგუფი მიიჩნევს, რომ განდგომილების დასჯა „ისლამური სამართლებრივი პოლიტიკის“ ფარგლებშია მოქცეული და მუსლიმ მმართველებს შეუძლიათ საკუთარი ინტერპეტაციის მიხედვით გამოიყენონ იგი იმისათვის, რომ დაიცვან კანონი, საზოგადოებრივი წესრიგი და საზოგადოების ერთიანობა.

„პოლიტიკურ“ ლალატსა და „რელიგიურ“ განდგომილებას შორის საზღვრების აღრევა წარმოიშვა ზეპირ-სიტყვიერ კულტურაში, რომელიც გავრცელებული იყო ადრე ნახსენებ ჰიჯაზის (არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი) გარემოში, რომელზეც გავლენა მოახდინა ებრაული კულტურის ზეპირსიტყვიერმა ტრადიციამ, ეს უკანასკნელი კი, საჭიროდ მიიჩნევდა ყველას სიკვდილით დასჯას, ვინც იუდაიზმს განუდგებოდა. გარდა ამისა, ისლამურმა დაპყრობებმა მრავალი ქვეყანა – ყველა საკუთარი სისტემით, ჩვეულებებით, კულტურით და კანონებით — მოაქცია მუსლიმური სახელმწიფოს იურისდიქციაში. ეს კანონები ეხებოდა, მაგალითად, მორჩილებაზე უარის თქმას, პოლიტიკური და სამართლებრივი წესრიგის წინააღმდეგ აჯანყებას და ა.შ. ბიზანტიელებს, სპარსელებს და სხვებს ჰქონდათ კარგად ჩამოყალიბებული კანონები და წესები, რომელიც წარ-

მოქმნიდა ჩვეულებებსა და კულტურებს დაპყრობილ მიწებზე – ეს, თავის მხრივ, მუსლიმთა გარემოშიც ხდებოდა. ეს კანონები, რეგულაციები, ტრადიციები და სხვა-დასხვა კულტურა ამგვარად აღწევდა მუსლიმთა სამარ-თლებრივ აზროვნებაშიც.

აბჟ ბაქრის (632-634 წწ) ხალიფობის პერიოდში „განდგომილების ომების“ მიზეზები არ იყო ზუსტად დადგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი პოლიტიკურ განზომილებას ეფუძნებოდა, რელიგიური განზომილება ნახსენები იყო აბჟ ბაქრის მიერ გაკეთებულ განცხადებებში, როგორიცაა მაგალითად, „**მე აუცილებლად გავა-ჩალებ ომს მათ წინააღმდეგ, ვინც ნამაზის ლოცვას ზაქა-თისგან გამოყოფს!**“ უფრო მეტიც, ვინაიდან აბჟ ბაქრი ეყრდნობოდა „რელიგიის“ კონცეფციას მისი ყოვლის-მომცველი მნიშვნელობით, რომელშიც კანონმდებლობა, უფლებამოსილება, საზოგადოებრივი წესრიგი და მმარ-თველობა ერთობლივად მოქმედებს და რადგან ეს ყვე-ლაფერი შარიათის მითითებებში შედიოდა, არ არსებობდა მკაფიო გაყოფა დოქტრინასა და კანონს შორის. „**განდგომილების ომების**“ მიზანი ის იყო, რომ მოქალა-ქეების, როგორც ისლამური „უმმას“ (თემის) წევრები ან სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებმაც თავიანთი ვალ-დებულებები და მოვალეობები უარყვეს, იძულება შეეს-რულებინათ ის ვალდებულებები, რომლებიც კანონიერ ძალს იძენდა რელიგიისგან და, მეორე მხრივ, პატრიო-ტული მოვალეობისგან, რომელსაც რელიგია, საკუთარი,

როგორც კანონიერებისა და ლეგიტიმურობის წყაროს უნარიდან გამომდინარე, აკისრებს მოქალაქეებს.

ისლამური სამართალმცოდნეობის ოთხ სუნიტურ სკოლას შორის „ჰანაფის“ სკოლა არ მიიჩნევდა განდგო-  
მილებას იმ სახის დანაშაულად, რომლისთვისაც არსე-  
ბობს ღვთისგან წინასწარ განსაზღვრული სასჯელი,  
არამედ განიხილავდა მას ნაწერებში საერთო სახელწო-  
დებით „სეარ“ ან „ჯიპადსა“ და მასთან დაკავშირებულ  
თემებში. ჰანაფიტი სამართალმცოდნები აცხადებენ,  
რომ ქალი განდგომილები, ყოველგვარი გამონაკლისის  
გარეშე, არ უნდა დაისაჯოს სიკვდილით. სიმწიფის ასაკს  
მიღწეული ჭაბუკი, რომელიც განუდგა რელიგიას, არ  
უნდა იქნეს მოკლული, არამედ მისი დაპატიმრება უნდა  
მოხდეს. ისინი მიიჩნევენ, რომ აუცილებელია განდგომი-  
ლი ზრდასრული მამაკაცის სიკვდილით დასჯა, თუმცა  
ამ პოზიციის გასამყარებლად ყურანიდან მტკიცებულება  
არ მოჰყავთ და იმოწმებენ ზემოთ ხსენებულ ჰადისს:  
„თუ ვინმე რელიგიას შეიცვლის, სიკვდილით უნდა დაისა-  
ჯოს“, ისინი მხარს უჭერენ ამ ჰადისს კონსენსუსის სა-  
ფუძველზე, რომელიც არსებობდა მუჰამად შუამავლის  
კომპანიონებს შორის განდგომილებთან ომის აუცილებ-  
ლობის შესახებ აბუ ბაქრის ხალიფობის დროს, როგორც  
სოციალური ქაოსის პრევენციის საშუალება. ჰანაფიტი  
სამართალმცოდნები მიდრეკილნი არიან განიხილონ  
განდგომილება პოლიტიკური თვალსაზრისით.

მალიქიტურ (მალიქი) მაზჰაბში განდგომილება იმავე  
კატეგორიას მიეკუთვნება, როგორიცაა „ალ-ზინა“, ანუ

უკანონო სქესობრივი კავშირი, მაგრამ ეს სკოლა არ მიიჩნევს, რომ განდგომილება არის დანაშაული, რომლის-თვისაც არსებობს ღვთიურად განსაზღვრული სასჯელი. იმამ მანამდე ეყრდნობოდა ისლამურ სამართლებრივ პოლიტიკას და არასრულ ჰადისს ღვთაებრივი მითითების წინააღმდეგ მაშინ, როდესაც აცხადებდა რომ განდგომილები, რომლებმაც არ მოინანიეს, სიკვდილით უნდა დაისაჯონ. მალიქიტური მაზჲაბის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით არის ის, რომ განდგომილი სქესის განურჩევლად უნდა დაისაჯოს სიკვდილით – კაციც და ქალიც.

შაფიტური (შაფი'რ) მაზჲაბის მიდგომა ეყრდნობა პოლითეიზმის წინააღმდეგ მიმართულ ყურანის აიებს და აღნიშნავს, რომ კანონიერი გზით დაუშვებელია მუსლიმის სიცოცხლის ხელყოფა, სამიდან ერთ-ერთი შემთხვევის გარდა: ურნებულობისკენ დაბრუნება რწმენის მიღების შემდეგ, მრუშობა და მკვლელობა. იმამ აღ-შაფი'რ განდგომილების საკითხს ყურანის შემდეგი ოთხი აიას მიხედვით განიხილავდა:

(1) „ებრძოლეთ მათ იქამდე, სანამ განსაცდელი აღარ იქნება და არ განმტკიცდება სრულიად (ერთადერთი) ალ-ლაჰის სარწმუნოება. ხოლო თუ ისინი შეეშვებიან (თავი-ანთ ურნებულობას) ..., მაშინ, უეჭველად, ალ-ლაჰი მხილველია (ყოველივე) იმისა, რასაც (ისინი) სჩადიან“.<sup>9</sup>

(2) „ხოლო როდესაც აკრძალული (წმინდა) თვეები

---

<sup>9</sup>. მე-8 სურა (ენფალი). აია: 39

დასრულდება, დაპხოცეთ მას შემდეგ კერპთაყვანისმცე-  
მელნი ყველგან, სადაც მათ წააწყდებით და შეიძყარით  
ისინი და გარსშემოერტყით და უთვალთვალდარაჯეთ ყო-  
ველი მისადგომიდან. და თუ მოექცნენ და შეასრულეს  
ლოცვა და გადაიხადეს ზაქათი, მაშინ მიეცით მათ გზა,  
რადგან ალლაპი შემნდობია, შემწყნარებელია“<sup>10</sup>

(3) „მაგრამ თუ რომელიმე თქვენგანი განუდგება  
რწმენას და მოკვდება როგორც ჭეშმარიტებაზე უარის  
მთქმელი – მაშინ თქვენ იქნებით ისინი ვისი საქმეებიც ამ-  
ქვეყნად და იმქვეყნად არაფრად იქცევა – ვინც ცეცხლის-  
თვისაა განწირული“<sup>11</sup>

(4) „ვფიცავ, გარდმოგევლინა შენ და შენამდე მყო-  
ფებს (შუამავლებს): თუ ალლაპს გაუხდი მოზიარე, უცი-  
ლობლად ფუჭი იქნება შენი ნამოქმედარნი, აღმოჩნდები  
ერთ-ერთი წაგებულთაგანი“<sup>12</sup>

იმამ ალ-შაფი‘ს მიერ ციტირებულ პირველ აიში  
შეიარაღებული კონფლიქტის ლეგიტიმაციაა დადასტურე-  
ბული, როგორც რწმენის თავისუფლებისა და ხალხის  
რწმენის ძალისმიერი გზით შეცვლისგან დაცვის საშუა-  
ლება. შაფიიტური სკოლა ამტკიცებს, რომ განდგომილე-  
ბა ისჯება სიკვდილით, რადგან ეს უფრო სერიოზული და  
უფრო შეურაცხმყოფელია, ვიდრე თავდაპირველი ურ-

<sup>10.</sup> მე-9 სურა (თევბე) აია: 5

<sup>11.</sup> მე-2 სურა (ბაყარა) აია: 217

<sup>12.</sup> 39-ე სურა (ზუმერი), აია: 65

წმუნოება, რომელიც ეფუძნება იმ ფაქტს, რომ განდგო-  
მილება იწვევს ამქვეყნიური საქმიანობის ღირებულებე-  
ბის და ასევე ღვთაებრივი პატიების შესაძლებლობის და-  
კარგვას. თუმცა, მის მიერ ციტირებული ოთხი აიადან,  
არცერთი არ მიუთითებს განდგომილებისთვის ყურანში  
ღვთისგან განსაზღვრული სასჯელის აუცილებლობაზე.

ჰანბალის სკოლის მიხედვით, განდგომილი უნდა  
დაისაჯოს სიკვდილით მისი ურწმუნოებისთვის და ეს არ  
არის ღვთისგან განსაზღვრული სასჯელი, არამედ ეფუძ-  
ნება ჰადისს – „თუ ვინმე შეიცვლის რელიგიას, სიკვდი-  
ლით უნდა დაისაჯოს“.

ამ ჰოზიციათაგან ზოგიერთი აჩვენებს თვალსაჩინო  
აღრევას ჰოლიტიკური ჰოლიტიკური მნიშვნელობით  
განდგომილებასა და ჰიროვნული რწმენისა და მრწამსის  
შეცვლას შორის. უფრო მეტიც, სკოლებს შორის არსებუ-  
ლი განსხვავება ამ საკითხთან დაკავშირებული მრავალი  
დეტალის შესახებ მიუთითებს ზუსტი ტექსტის არარსე-  
ბობაზე, რომელიც ისლამური იურისპრუდენციის პრინ-  
ციპების დაცვით მხარს დაუჭერს მტკიცებულებას იმის  
შესახებ, რომ არსებობს განდგომილებისთვის სასიკვდი-  
ლო განაჩენი. მრავალი მუსლიმი იურისტის მიერ გამოთ-  
ქმული ჰოზიცია მოიცავს ალუზიას იმ ინტერესებზე, რო-  
მელიც ეყრდნობა ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და საზო-  
გადოების უსაფრთხოების, და მეორე მხრივ, შიდა ფრონ-  
ტის დაცვის კავშირს, რომელიც, როგორც ვნახეთ, სავა-  
რაუდოდ, განდგომილებასა და მუსლიმ თემს ან/და სა-  
ხელმწიფოს შორის დაპირისპირების სახით არსებობს.

შიიზმის იმამიტური სკოლა მიიჩნევს, რომ არსებობს ორი სახის განდგომილება: განდგომილი, რომელიც იშვა ისლამში და განდგომილი, რომელმაც მიიღო ისლამი სხვა რელიგიის უარყოფის შემდეგ. პირველი ტიპის განდგომილი დაუყოვნებლივ სიკვდილით უნდა დაისაჯოს – მას მონანიების შესაძლებლობა არ ეძლევა. თუ ადამიანი იღებს მონანიების ინიციატივას, მისი მონანიება არ მიიღება. აქედან გამომდინარე, მას არა აქვს უფლება ისევ დაუბრუნდეს ისლამს. მეორე ტიპის განდგომილს მონანიების საშუალება ეძლევა. თუ ის მოინანიებს, მაშინ შეენდობა, და თუ არა, მაშინ სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ქალი არ უნდა დაისაჯოს სიკვდილით, არამედ ციხეში უნდა მოთავსდეს. ამ სკოლის მიმდევრები განდგომილებას არ განიხილავენ ისეთი სახის დანაშაულად, რომლისთვისაც არსებობს ღვთიურად განსაზღვრული სასჯელი. ნაცვლად ამისა, ისინი მას იმ დანაშაულთა შორის უჩენენ ადგილს, რომლებისთვისაც დისკრეციულ (პირადი შეხედულებების მიხედვით მოქმედს) სასჯელს იყენებენ.

ზაჰირიტული სკოლა აცხადებს, რომ განდგომილება არის დანაშაული, რომლისთვისაც ღვთისგანაა დადგენილი სასჯელი და ამტკიცებს, რომ ყურანის აია „**არ არის იძულება რწმენაში**“ იყო გაუქმებული, რადგან, სიცოცხლის ბოლომდე, ღვთის მოციქული ამტკიცებდა, რომ წარმართ არაბებს ან უნდა მიეღოთ ისლამი ან დაიღუპებოდნენ მახვილისგან. აქედან გამომდინარე, ეს აია უნდა მიესადაგოს მხოლოდ კონკრეტულ ადამიანებს – იუდეველებსა და ქრისტიანებს.

ზაიდიტების სკოლა მიიჩნევს, რომ განდგომილს უნდა ჰქონდეს მონანიების შესაძლებლობა სიკვდილით დასჯამდე. ეს სკოლა განდგომილებას მუსლიმების წინააღმდეგ ომის გამოცხადებად თვლის, ფაქტობრივად თუ არა, პოტენციურად მაინც.

იბადიტთა სკოლა სხვა სამართლებრივი სკოლების-გან მცირედით თუ განსხვავდება და სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, თუ განდგომილი არ მოინანიებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით სწავლულების მხრიდან გამოვლენილი გაურკვევლობა გამოწვეულია მრავალი მიზეზით: „რელიგიის“ უკიდურესად ფართო კონცეპტით, რომელიც მოიცავს სამართლებრივ სისტემას და ყველა მოქალაქის მიმართ მისი გამოყენების საჭიროებას, მათი განსხვავებული მრწამსის მიუხედავად; რწმენის შეცვლის აღრევით რელიგიის ბურჯების შეცვლის აქტით, ანუ ტენდენციით, აღიქვან რწმენის შეცვლა როგორც მტრული დამოკიდებულება მუსლიმური „უმმა“-სა და საზოგადოების მიმართ, ვინაიდან განდგომილი იქცევა მეომარ მტრად.

ყურანი აღიარებს განსხვავებათა მრავალ ტიპს, რომლებიც აცალკევებს ხალხებს ერთმანეთისგან, მათ შორის, რწმენის, აღმსარებლობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, იგი აცხადებს, რომ მათ ვისაც სურთ, რომ სწამდეთ, შეუძლიათ სწამდეთ, ხოლო მათ ვისაც სურთ უარყონ რწმენა, შეუძლიათ უარყონ. შუამავალმა მუსლიმებს აუკრძალა ფიქრიც კი რწმენის დაძალებაზე,

რადგან ლმერთმა გადასცა მას: „შენ ლმერთს რომ ესურვა, ირწმუნებდნენ უკლებლივ ყველანი, ვინც კი დედამიწაზე არიან. განა შენ შეძლებ აიძულო ადამიანები, რომ ისინი მორწმუნები გახდნენ?“<sup>13</sup>

რწმენის თავისუფლება დაცულია და შენარჩუნებული ყურანში. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის ყურანის პოზიცია, ეს შესაბამისად სუნას პოზიციაცაა. ყურანი ცხადყოფს, რომ რწმენის შეცვლის სასჯელი არის მხოლოდ ერთი – ის, რომელიც ძალაში შევა იმქვეყნიურ ცხოვრებაში, ხოლო სუნა ცხადყოფს, მიუხედავად იმისა, რომ რწმენის შეცვლა შეიძლება განიხილებოდეს როგორც მტრული დამოკიდებულება „უმა“-ს მიმართ და როგორც საფრთხე მისი მოქალაქეებისა და ინტერესების გათვალისწინების თვალსაზრისით, განდგომილებისთვის, მაინც არ არის გათვალისწინებული სასჯელი ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

სასჯელი მხოლოდ იმქვეყნიურ ცხოვრებას უკავშირდება, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ის ეხება მხოლოდ იმ უფლებას, რომელიც ეკუთვნის შემოქმედს და მხოლოდ ის აღასრულებს მას მარადიულ საუფლოში.

**ლმერთმა უკეთ იცის.**

---

<sup>13.</sup> მე-10 სურა (იუნუსი), აია: 99

თავი მემკვეთ

## განდგომილებაში ბრალდებული მუსლიმი სწავლულები

ჩვენი ისტორიის გარკვეულ პერიოდებში ზოგიერთი მმართველი იყენებდა ამ „სასჯელს“, რომლის საფუძველიც არ არსებობდა, მაგრამ მისი იარაღად გადაქცევის გზით, მათ შეეძლოთ ის ოპონენტებისთვის „სახეზე აეფარებინათ“. ასეთ ოპონენტებს შორის იყვნენ გამოჩენილი სწავლულები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ ტირანებს და მათი აბსოლუტური ძალაუფლების აღკვეთის მცდელობით მოუწოდებდნენ, უბრძანებდნენ და უკრძალავდნენ მათ. თუმცა, ამის საპასუხოდ, ასეთი დესპოტები კიდევ უფრო მეტ რეპრესიებს მიმართავდნენ. „მუსლიმ ერს“ არასდროს აღმოუჩენია ისეთი მექანიზმი და ინსტრუმენტები, რომელიც საჭიროა ორმხრივი კონსულტაციების განხორციელებისთვის, რასაც ღმერთი მოითხოვდა მუჰამად შუამავლისგან (ს.ა.ს.) და მისი სიკვდილის შემდეგ მუსლიმთა თემისგან. ზოგიერთი ღვთისმოშიში სწავლული ცდილობდა ერთობლივი კონსულტაციის ჩატარების ფუნქციის შესრულებას, თუმცა მოკრძალებულად. მიუხედავად ამისა, ბევრი მმართველი ცდილობდა ასეთი ხმების ჩატარებას, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ასეთი სწავლულების მიზანი იყო საკუთარი თავის, „მუსლიმი ერისა“ და მისი ტირანი მმართველებისთვის ავტორიტარიზმის უფსკრულში გადაჩეხისგან თავის არიდება.

ისლამური ისტორიის მანძილზე სწავლულები ცდი-

ლობდნენ თავიანთი თავის იმ ძალად გადაქცევას, რომელიც შეძლებდა ხელისუფლებასთან გათანაბრებას და იმოქმედებდა ერთგვარი არიერგარდის სახით. აქედან გამომდინარე, მათ მოახდინეს ყურანის ფრაზის, „ული ალ-ამრ“ („ისინი, ვინც აღჭურვილნი არიან ძალაუფლებით“), ისეთი ინტერპრეტაცია, რომ იგი აღნიშნავდა როგორც მმართველებს, ისე სწავლულებს. სწორედ მართლმორწმუნე ხალიფების ეპოქის დასასრულს, როდესაც მათ შეურწყეს პოლიტიკური განჭვრეტა ხელისუფლებას, ყურანიდან და სუნადან ამომწურავი დასკვნების გამოტანის უნარს და იმის სურვილს, რომ გაერკვიათ რა გამოადგებოდათ საერთო კეთილდღეობის მიღწევისთვის, ურთიერთკონსულტაციების გზითა და, ასევე, ყველა ხელთარსებული საშუალების გამოყენებით – სწავლულები ცდილობდნენ არ მიეცათ ხელისუფლების უკვლებლივ ყველა მატარებლისთვის ერის საქმეების ერთპიროვნულად წარმართვის შესაძლებლობა. ვინაიდან სულიერი განჭვრეტის უნარის მქონე სწავლულები საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობას არ იღებდნენ, მმართველი ელიტის გარკვეული სახის ინდივიდუალიზმი კიდევ უფრო გამყარდა და გაძლიერდა.

თავისი ისტორიის მანძილზე, მუსლიმური თემს არაერთი სენი შეეყარა დაუსჯელობის, უთანხმოებების, ყურანისა და წმინდა მუჰამმად შუამავლის ცოცხალი მაგალითის უგულებელყოფისა და ერთმანეთთან სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე კავშირის აღიარების ნაცვლად სუნადან ყურანის განცალკევების ტენდენციის გამო. ამას

ემატებოდა ყურანისა და სუნას იურისპრუდენციისგან, ისლამური სამართლის ისლამური დოქტრინისგან, გვიან-დელ მეცნიერთა იურისპრუდენციისა და ადრეულ მეცნი-ერთა იურისპრუდენციისგან გამიჯვნის ტენდენციები; აგ-რეთვე, იმ ფუძემდებელი იმამების (აბუ ჭანიფა, აჭმად იბნ ჭანბალი, ალ-შაფი'ი და იმამ მალიქი) ნაშრომების განხილვის იმგვარი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ისინი თითქოს უთანასწორდებოდნენ იმ სიტყვებს, რომ-ლითაც თვით კანონშემოქმედი მოგვმართავს.

იმ დროიდან დაწყებული, როდესაც მუსლიმმა თემ-მა ყურანს ზურგი აქცია და დაბნეულობითა და შეცდო-მებით გახდა მოცული, მისი ერთობა დაიკარგა. ყველა-ფერი დაიწყო მესამე ხალიფის პერიოდში მომხდარი აჯანყებით, რასაც მოჰყვა მისი მოწამეობრივი სიკვდი-ლი. შემდგომ კი გაგრძელდა ამბოხით და ინტრიგებით, რომელიც თან სდევდა აქლემის ბრძოლას<sup>14</sup> და სიფლი-ნის მოვლენებს<sup>15</sup>. ამას მოჰყვა სექტებისა და ურთიერ-თვანსხვავებული სამართლებრივი სკოლების წარმოქმნა, მმართველ და მართვის მსურველ ოჯახებს შორის ამბო-ხისა და კონფლიქტების მთელი რიგი. დღემდე უამრავი კონფლიქტი გვდევს თან სუნიტებსა და შიიტებს შორის,

<sup>14..</sup> ჯამალის ბრძოლა (აქლემის ბრძოლა) მოხდა ბასრის რეგიონში, 7 ნოემბერს, 656 წელს. ეს ბრძოლა ცნობილია, როგორც პირველი შიდა ომი მუსლიმების, ხალიფა 'ალი' იბნ აბი ტალიბსა და მუჰამად შუამავალის მეუღლის, 'ა'იშას მომხრეებს შორის.

<sup>15.</sup> სიფფინის ბრძოლა (26-28 ივლისი, 657 წელი) ხალიფა 'ალი' იბნ აბი ტალიბისა და სირიის მმართველის მუ'კვა იბნ აბი სუფანს ჯარებს შორის.

სუფიებსა და სალაფიტებს შორის, სალაფიტებსა და დანარჩენ მუსლიმ თემებს, და ტრადიციონალისტებსა და მოდერნისტებს შორის – რომ არაფერი ვთქვათ სხვადასხვა ისლამურ პოლიტიკურ სექტებსა და პარტიებს შორის მიმდინარე ბრძოლებზე. სხვებისთვის განდგომილებასა და ურნებმუნოებაში დაბრალების ფენომენის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს ისლამის მთლიან ისტორიას, განაგრძობს ზრდას და მსხვერპლთა გრძელ სიას გვაწვდის, რადგანაც ხალხი ჯერ კიდევ არ შემობრუნებულა ყურანის მოწოდებისკენ. მუსლიმი სწავლულების ბიოგრაფიებსა და მუსლიმი ერის ისტორიასთან დაკავშირებულ წიგნებში ჩაღმავებისას მოვიძებთ უამრავ უცნობ ამბავს სწავლულების, მისტიკოსებისა და იურისტების შესახებ, რომლებსაც დევნიდნენ, ასახლებდნენ და სდებდნენ ბრალს განდგომილებაში, ათეიზმსა და რელიგიისთვის ზურგის შექცევაში. რა თქმა უნდა, მათი ტანჯვის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ამა თუ იმ მმართველს ან არ იზიარებდნენ იმ შეხედულებებსა და მოძღვრებებს, რომელსაც მხარს უჭერდნენ ძალაუფლების მქონენი, აგრეთვე – სახელგატეხილი სწავლულები. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც ხალხი მყარად მისდევს ყურანს და არასგზით არ უარყოფს იმას, რაც მასში განცხადებულია, ისინი გააძლიერებენ მუსლიმ თემს და იმ რელიგიას, რომელსაც აღიარებენ და, ამდენად, დაიცავენ მას იმ მტკიცნეული ბედისწერისგან, რაც კვლავაც მისი თანმდევია.

**ღმერთმა უკეთ უწყის.**

## დასკვნა

ადამიანთა მიმართ გამოცხადებული ნდობის არსი, რომლის მიხედვითაც ისინი იმსახურებენ, იყვნენ დედა-მიწაზე ღვთის წარმომადგენლები, არჩევანის სრულ, წმინდა თავისუფლებას ეყრდნობა: „რწმენაში ძალდატა-ნება არ არის“; „...შენზედ მაინც მხოლოდ და მხოლოდ ქა-დაგებაა (მოვალეობად), ჩვენზე კი – ანგარიშგება“<sup>16</sup> და „უთხარი (მუჰამმად): ჭეშმარიტება თქვენი ალლაჰისგანაა: ვისაც სურს ირწმუნებს, ვისაც სურს უარყოფს“<sup>17</sup> (18:29).

შეუძლებელი იქნებოდა რომ ყურანს ადამიანთა არჩევანის თავისუფლებისთვის ორასზე მეტი აია მიეძღვნა, შემდეგ კი ასეთი მკაცრი სასჯელით დაესაჯა ისინი, ვინც ამ თავისუფლებას იყენებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ზიანი არ მიუყენებიათ სხვისთვის. მუსლიმი სამართალმცოდნები, რომლებმაც დაადასტურეს სიკვდილით დასჯის განაჩენი განდგომილებისთვის, ზოგადად, იმ ფაქტს ეყრდნობოდნენ, რომ იმ ხანებში, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, განდგომილება, პირადი შეხედულებების ცვლილებების თვალსაზრისით, ხშირად, მუსლიმი თემის ყოვლისმომცველ უარყოფასა და მასთან დაკავშირებულ სისტემებზე, კანონებზე და კულტურაზე

16. მე-13 სურა (რად) აია: 40

17. მე-8 სურა (ქეპფი), აია: 29

უარის თქმას წარმოადგენდა. ამ მოცემულობაში რელი-  
გის მიმართ უნდობლობა უტოლდებოდა ტოტალურ  
უარყოფას ყველაფრისა, რაზეც დაფუძნებულია მსული-  
მური თემი.

ამ ნაშრომის მიზანია შექმნას მოდელი იმ უკიდუ-  
რესად საჭირო, სერიოზული კვლევებისთვის, რომლებიც  
მიეძღვნება მუსლიმური მემკვიდრეობის განხილვას სა-  
კუთრივ მუსლიმების მიერ. მაშინ, როდესაც ყურანისა  
და სუნას სწორი გააზრება და უზენაესი ღირებულებები  
გავრცელდება, ეს გახდება იმ სახის ძალის მასაზრდოე-  
ბელი წყარო, რომელიც აღარასოდეს იქნება დაფუძნე-  
ბული ფანატიზმსა და ისლამის ბრმად დამცველ მოძრა-  
ობაზე. სანაცვლოდ, მუსლიმები იქნებიან სათანადოდ  
ინფორმირებულები და ექნებათ საჭირო ცოდნა, რომე-  
ლიც, მათ შორის, ისლამის მოწინააღმდეგებისა და ცი-  
ლისმნამებლების პატივისცემასაც მოითხოვს.

## **ავტორი**

ტაჟა ჯ. ალ-ალვანი არის ალ-აზჰარის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერი და ექსპერტი ისლამური სამართლის თეორიის, იურისპრუდენციისა (ფიკ) და უსულ ალ-ფიკ-ჰის სფეროში. იგი, ასევე, არის მრავალი ნაშრომის ავტორი და OIC-ის (ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია) ისლამური ფიკის აკადემიის წევრი.



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკისა და სამსახურის №4, ტელ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი ჰუბლიკაციების ღირებულ კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

როგორია კანონით განსაზღვრული სასჯელი განდგომილებისთვის (არ-რიდდა) და როგორ უკავშირდება იგი იმ რელიგიური მიმღებლობის მოთხოვნას, რომელიც მოცემულია ყურანის აიაში:

„არ არის იძულება რწმენაში, გზაჭეშმარიტებისა ნათლადაა გარჩეული ცდომილისაგან“ (ყურანი- 2:256.)

ფაქტია, რომ თავისი ცხოვრების მანძილზე, წმინდა მუჰამად შუამავალს მუსლიმი, რომელიც განუდგა ისლამს, ანუ უარყო ისლამი, სიკვდილით არ დაუსჯია. თუმცა აღნიშნული თემა კვლავ ერთ -ერთი ყველაზე სადავო საკითხად რჩება. სამწუხაროდ საუკუნეების განმავლობაში ისლამური სამყარო ამ ფაქტისგან ზარალ-დებოდა და ზარალდება დღესაც.

## لَا إِكْرَاهَ فِي الدِّينِ

არ არის იძულება რწმენაში  
ყურანი, 2:256